

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCAG) საგრანტო პროგრამის დაფინანსების ფარგლებში მიმდინარე პროექტისთვის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ დაგეგმილი აქვს საკანცელარიო საქონლის შესყიდვა.

მოკლე აღწერა და ძირითადი პირობები:

შესასყიდი საქონლის კონკრეტული სახე და სპეციფიკა შეგიძლიათ იხილოთ დოკუმენტაციაში (ტექნიკური დავალება).

დაინტერესებულმა პირებმა შემოთავაზება უნდა გააკეთონ ინვოისის სახით შემდეგ ელ.ფოსტაზე: procurement@agruni.edu.ge. (გთხოვთ, მეილის სათაურში მიუთითოთ: საკანცელარიო საქონელი)

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს პრეტენდენტის მმართველობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. წინადადებების წარმოდგენის ვადად განსაზღვრულია 2018 წლის 23 მაისი (15:00 საათამდე).

დოკუმენტაციაში მოცემულია ხელშეკრულების ფორმა, ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

შესყიდვის ღირებულება:

შესასყიდი საქონლის ჯამური ღირებულება შეადგენს **740 ლარს (დღგ-ს გარეშე):**

წარმოდგენილი წინადადება უნდა იყოს დღგ-ს გათვალისწინებით. სავალდებულოა დღგ-ს თანხა, შემოთავაზებაში (ინვოისში), გამოყოფილი იყოს ცალკე.

საქონლის მოწოდების ვადა და პირობები:

მოწოდების ვადად განსაზღვრულია **2 კალენდარული დღე.**

გამარჯვებულის გამოვლენის მეთოდი:

სრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის პირობებში, წარმოდგენილი წინადადებები შეფასდება ფასის მიხედვით.

პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი ინფორმაცია:

შემოთავაზებული პროდუქცია და ფასი - ინვოისი. შემოთავაზებული წინადადება უნდა იყოს ლარში, დღგ-ს გათვალისწინებით. ღგს- თანხა უნდა იყოს გამოყოფილი ცალკე.

ანგარიშსწორების პირობები:

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეტაპობრივად, ეროვნულ ვალუტაში (ლარში), მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ- ფაქტურის წარმოდგენიდან (დღგ-ს გადამხდელიობის შემთხვევაში) 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ განიხილება.

შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ.თბილისი

2018

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (მის.: ქ. თბილისი, დ.ადმაშენებლის ხეივანი #240, სკ-211325653), შემდგომში წოდებული “შემსყიდველად”, წარმოდგენილი _____ სახით და _____, შემდგომში წოდებული “მიმწოდებლად”, წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც “მხარეები”, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 “ხელშეკრულება” – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 “დღე”, “კვირა”, “თვე” - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.
- 1.4 “შემსყიდველი” – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 “მიმწოდებელი” – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6 “საქონელი” – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 ინვოისის შესაბამისად საკანცელარიო საქონლის მიწოდება.
- 2.2 შესყიდვის ობიექტის ნუსხა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი განისაზღვრება ინვოისის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს -----.
- 3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

- 4.1. მიმწოდებლის ვალდებულებები:

ა) აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი #240.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება საქონლის მიწოდების დროს.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6.2 საქონლის მიღებას აწარმოებს ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კანცლერი - ალექსანდრე კაჭარავა.

6.3 თუ მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება, ეტაპობრივად, ეროვნულ ვალუტაში.

7.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ- ფაქტურის წარმოდგენიდან (დღგ-ს გადამხდელობის შემთხვევაში) 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუზიაროს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებარე მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

9.2 საქონლის მოწოდების 15 კალენდარული დღით დაგვიანების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან, გარდა 9.3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი _ შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ტექნიკური დავალება

საკანცელარიო საქონელი

#	დასახელება	ტექნიკური პარამეტრები	ერთეული	რაოდენობა
1	საბეჭდი ქაღალდი	ფორმატი: A4 სისქე: 80გ/მ ² ან უკეთესი 500 ერთეულიანი შეკვრა	შეკვრა	12
2	თეთრი მაგნიტური დაფა ორმხრივი მარკერით და ცარცით საწერი	საორიენტაციო ზომა: 200x100სმ	ცალი	1
3	დაფის სადგამი გორგოლაჭებზე დაფებისათვის 120x70სმ-დან 240x120სმ- მდე		ცალი	1
4	ფლიპჩარტის დაფა	საორიენტაციო ზომა: 60x90სმ	ცალი	2
5	უნივერსალური სტეპლერი	მომუშავე No:10 ; 24/6; 26/6 ტყვიებზე	ცალი	5